სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №02-138

ქ. თბილისი „6„ ივნისი 2014 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ „იუსტიციის სახლი“** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი **ფინანსური ოპერაციების დირექტორის იაკობ ედილაშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თბილი სახლი“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ კურტანიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ვმოქმედებთ რა, „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1. სსიპ „იუსტიციის სახლი“-ს მიერ, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში, გამაგრილებელი ჯგუფების შეკეთება და შეკეთებასთან დაკავშირებული ტექნიკური მომსახურება (CPV 50730000).

2.2 შესყიდვის ობიექტია ქ. ახალციხის იუსტიციის სახლის შენობაში არსებული ჩილერის (FERROLI RLAIR 375.4VB AB 0M5-MOE1F) დაზიანების დიაგნოსტიკა, შეკეთება და შეკეთებასთან დაკავშირებული საქონლის, ასევე სახარჯი და საცხებ-საპოხი მასალის მიწოდება დანართის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 6473.20 (ექვსიათას ოთხასსამოცდაცამეტი ლარი და 20 თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4.ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება

4.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს **სსიპ „იუსტიციის სახლი“-ს სამეურნეო და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური.**

4.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრლების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5. მომსახურების გაწევის ადგილი

5.1 მომსახურების გაწევის ადგილია ქ. ახალციხე, იუსტიციის სახლის ახალციხის ფილიალი.

5.2 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება ჩაბარების წესი

6.1. გაწეული მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.2. მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მომსახურების გაწევის შემდეგ, ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

7.ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

7.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;
7.1.2. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში – ლარში. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. დოკუმენტის სრულყოფილად გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში;

8. მხარეთა ვალდებულებანი
8.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:
8.1.1. უზრუნველყოს მაღალხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულების პირობების, ასევე უსაფრთხოების ნორმების და მოსაწოდებელ საქონელზე მწარმოებლის მიერ დადგენილი რეკომენდაციების შესაბამისად.
8.1.2. უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ჩატარებული შესყიდვის ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა, საკუთარი ხარჯით ასეთი ნაკლის აღმოჩენიდან შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში.
8.2. „შემსყიდველი" ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს შესაძლოა დაეკისროს პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
9.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულების შეწტყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
9.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
10.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.4. თუ მხარე ჯეროვნად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, მეორე მხარე უფლებამოსილია გავიდეს ხელშეკრულებიდან მის მიერ განსაზღვრული გონივრული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, ხელშეკრულების პირობების დამრღვევი მხარისთვის წერილობითი შეტყობინებით.
10.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

11.ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა
11.1 ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი).
11.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისაგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.
11.4 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
12.1. ხელშეკრულება დადებულია და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით.
12.3. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები
14.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი – შემსყიდველთან.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“:

სსიპ „იუსტიციის სახლი“
მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2
ს/ს „საქართველოს ბანკი“
კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE15BG0000000291279900
ს/კოდი: 204 580 202

ფინანსური ოპერაციების **დირექტორი**

იაკობ ედიოლაშვილი

„მიმწოდებელი“:

შპს „თბილი სახლი“
მის.: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №20
სს „საქართველოს ბანკი“
კოდი: BAGAGE22
ა/ა:GE19BG0000000175579101
ს/კოდი: 204 976 179

დირექტორი

მალხაზ ჯორტანიძე

დანართი

ქ. ახალციხის იუსტიციის სახლში ჩილერის შეკეთება

№	დასახელება	რაოდენობა/ განზომილების ერთეული	საქონლის ღირებულება	მომსახურების ღირებულება
1	ჩილერის შემოწმება	-	0.00	267.62
2	ჩილერის ფრეონი R410C	7 ბალონი	2850.35	669.06
3	ჩილერის კომპრესორის ზეთი	3 ლიტრი	210.75	200.72
4	ჩილერის ფრეონის ფილტრი	2 ცალი	421.51	133.81
5	ჩილერის ფრეონის სადინარის ვაკუუმზე დაყენება	2 ბალონი	0.00	267.62
6	ჩილერის ფრეონის სადინარის აზოტზე დაყენება	2 ბალონი	281.01	267.62
7	დასაბრუნებელი ადგილების შედღუბა	-	0.00	802.87
		ჯამი:	3863.82	2609.33
		სულ ჯამი:	6473.16	

შემსყიდველი:
სსიპ „იუსტიციის სახლი“
ფინანსური ოპერაციების დირექტორი

_____
იაკობ ედილაშვილი

მომწოდებელი:
შპს "თბილი სახლი"
დირექტორი

_____
მალხაზ კურტანიძე